# EBSC*Ohost* Web 6.0



## მომხმარებლის სახელმძღვანელო

**სახელმძღვანელოს ქართული თარგმანი მომზადა საქართველოს ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის კონსორციუმმა.**


მისამართი: თბილისი, 380007, გუდიაშვილის ქუჩა 7

ტელ: 38 48 91 / 93 26 82 , ფაქსი: 99 80 95

ელ.ფოსტა: Ge_La@posta.ge , ვებ-გვერდი: www.gela.org.ge/eifl

## როგორ გამოვიყენოთ EBSCO-ს მონაცემთა ბანკი

1. თქვენი ბრაუზერის გამოყენებით დაუკავშირდით მონაცემთა ბანკს ინტერნეტ მისამართზე: http://search.epnet.com




2. შეიყვანეთ შესაბამის გრაფებში თქვენი იდენტიფიკატორი (User ID) და პაროლი (Password) და დააწკაპუნეთ ღილაკზე "Login".

**შენიშვნა**: მიაქციეთ ყურადღება დიდ და პატარა ასოებს, რადგან სერვერი მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს.




3. აირჩიეთ თქვენთვის სასურველი სერვისი. ამჟამად EBSCO გვთავაზობს ორ სერვისს: (ძირითადი სერვის, რომელიც შეიცავს 5500 ელექტრონულ ჟურნალს ინგლისურ ენაზე), (რუსული პერიოდიკა).

4. ყოველი სერვისისათვის იმოქმედეთ შესაბამისი ინსტრუქციებისა და მომხმარებლის სახელმძღვანელოს მიხედვით.

# სარჩევი


დანიშნულება....4
რა არის EBSCOhost....4
სისტემური მოთხოვნილებები....5
მონაცემთა ბაზების შერჩევა საძიებლად....5
ინსტრუმენტების გამოყენება....6
ინსტრუმენტების ზოლის გამოყენება....6
ძირითადი საძიებელი ეკრანის გამოყენება....7
ძიების ფორმები....7
ძიების პარამეტრები....8
მართლწერის კონტროლი....9
ძიების ტექნიკა....9
მახლობელი სიტყვების ძიება (*Proximity Search*)....10
შედეგების სიის თავისებურებები....10
ძიების შედეგების ნუსხა წყაროების ტიპების მითითებით....11
აღწერილობის დეტალური ფორმატის თვისებები....12
HTML სრული ტექსტის თვისებები....13
"ფოლდერის" გამოყენება....14
მიწოდების ფორმები....14
რთული (დახვეწილი) ძიების ეკრანის გამოყენება....15
რთული ძიების ჩასატარებლად ერთი საძიებელი ველით:....15
რთული ძიება ერთი საძიებელი ველით და ძიების კონსტრუქტორით....16
რთული ძიების ჩატარება მრავალ ველში დამხმარე გრაფების გამოყენებით....16
ძიების ისტორია....17
ძიებების შენახვა და ამოღება....18
ძიების ისტორიის ამობეჭდვა....22
ინსტრუმენტთა ქვედა ზოლი....23
საგნობრივი ძიება....23
პუბლიკაციების ნუსხის გადათვალიერება....23
სურათების ძიება....24

## დანიშნულება

ამ სახელმძღვანელოს შესწავლის შემდეგ თქვენ უნდა შეგეძლოთ:

- ჩაატაროთ ძიება რამდენიმე მონაცემთა ბაზაში
- მარტივად იმოძრაოთ საძიებელ ეკრანებზე, ავტორიტეტულ ჩანაწერებსა და შედეგების სიაში
- ჩაატაროთ მარტივი ძიებები ყველა ფორმით და გესმოდეთ მათ შორის სხვაობა
- ჩაატაროთ რთული ძიებები და დააზუსტოთ საძიებელი ველების ნუსხა
- ჩაამატოთ (ან ამოიღოთ) სტატიები თქვენს ფოლდერში
- აირჩიოთ, ამობეჭდოთ, გადაგზავნოთ ან შეინახოთ სტატიები
- შეინახოთ ან მიიღოთ ძიების შედეგები
- ჩართოთ ძიების შეტყობინების რეჟიმი
- გამოიყენოთ თემატური და გამომცემლების ავტორიტეტული ჩანაწერები
- იხილოთ PDF ფორმატის სტატიები *Adobe Acrobat* –ის გამოყენებით

# რა არის EBSCOhost

EBSCOhost არის მძლავრი ქსელური საძიებელი სისტემა, რომელიც ხელმისაწვდომია ინტერნეტის ხაზით ან პირდაპირი შეერთებით. იგი გთავაზობთ მრავალ დაპატენტებულ და პოპულარულ სრულტექსტიან მონაცემთა ბაზას ინფორმაციის წამყვანი მომწოდებლებისაგან. სრულყოფილი მონაცემთა ბაზები შეიცავენ საძიებელსა და ტექსტებს როგორც ზოგადი ასევე სპეციალური პროფილით საზოგადოებრივი, აკადემიური, სამედიცინო, შერეული და სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის.

**სისტემური მოთხოვნილებები**

EBSCOhost-ის სტატიების ეფექტური გამოყენებისათვის რეკომენდირებული ბრაუზერებია: Internet Explorer 4.0/ Netscape 4.06. ან უფრო მაღალი.
**შენიშვნა: იმისათვის, რომ იხილოთ PDF -ის სრულტექსტიანი ფაილები, დაინსტალირებული უნდა გქონდეთ Adobe Acrobat.**

## მონაცემთა ბაზების შერჩევა საძიებლად

**ძიება ერთ ბაზაში**:

1. დააჭირეთ ბაზის სახელწოდებას. მაგ: Academic Search Premier. გამოჩნდება საძიებელი ეკრანი.
2. შეგიძლიათ გამოიყენოთ საწყისი საძიებელი ეკრანი ან აირჩიოთ სხვა საძიებელი ეკრანი შესაბამის ღილაკებზე დაჭერით.

**ძიება რამოდენიმე მონაცემთა ბაზაში:**

1. მონიშნეთ (დააწკაპუნეთ) ბაზის სახელწოდების მარცხნივ მოთავსებული პატარა უჯრედი, შემდეგ დააჭირეთ **Continue**-ს და გამოჩნდება საძიებელი ეკრანი.




2. შეგიძლიათ აგრეთვე გამოიყენოთ საწყისი საძიებელი ეკრანი ან აირჩიოთ სხვა საძიებელი ეკრანი შესაბამის ღილაკებზე დაჭერით.

**შენიშვნები:**
თუ საძიებელი რამოდენიმე მონაცემთა ბაზიდან გსურთ აირჩიოთ მხოლოდ ერთი მათგანი, დააჭირეთ ბაზის სახელწოდებას ბაზების არჩევის ეკრანზე და არჩეული იქნება მხოლოდ თქვენთვის სასურველი ბაზა.
მომხმარებელს საშუალება ეძლევა მიიღოს რჩევა რომელიმე მონაცემთა ბაზის შესახებ პირდაპირ საძიებელი ეკრანიდან და შედეგების სიიდან. მონაცემთა ბაზების სახელწოდებები თითოეული ეკრანის თავში წარმოადგენენ ჰიპერტექსტულ კავშირებს ამ ფაილებისათვის. დახმარების მიღება შეიძლება აგრეთვე ბაზების არჩევის ეკრანზე თუ დააწკაპუნებთ "**More Information**" –ზე.

## ინსტრუმენტების გამოყენება

EBSCOhost გთავაზობთ "ინსტრუმენტების ზოლს" ყველა იმ ფუნქციისთვის, რაც ხელმისაწვდომია ძიების დროს. არჩევანი შეიძლება განსხვავებული იყოს, იმის მიხედვით თუ რომელ ბაზაში ტარდება ძიება.




**ინსტრუმენტების ზოლის გამოყენება**

**New search**- დააჭირეთ ამ ღილაკს რათა დაუბრუნდეთ საწყის საძიებელ ეკრანს
**View folder** - ამ ღილაკის საშუალებით შეგიძლიათ იხილოთ თქვენს მიერ შენახული ("ფოლდერში" მოთავსებული) ძიების შედეგები.
**References** - დააჭირეთ ამ ღილაკს, რათა შეცვალოთ შედეგების სიის ფორმატი და დახარისხების მეთოდი.
**Help** - ამ ღილაკზე დაწკაპუნებით შეგიძლიათ იხილოთ დამხმარე სახელმძღვანელო.
**Exit/ Home Library** - ეს წარწერა გაჩნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ Home Library Graphics და URL არ არის ხელმისაწვდომი. **Exit**-ს იყენებთ თუ გსურთ გამოხვიდეთ EBSCOhost-იდან.
**Home Library Graphics** - ამ ღილაკის საშუალებით თქვენ დაუბრუნდებით ბიბლიოთეკის თავფურცელს.

## ძირითადი საძიებელი ეკრანის გამოყენება

**ძიების ფორმები**
ძირითად საძიებელ ეკრანზე მოცემულია 4 ფორმის ძებნა. **შენიშვნა**: ძიების ფორმების არსებობა განისაზღვრება ადმინისტრატორის მიერ.

- **სტანდარტული ძიება (Standard Search)**
- **ყველა სიტყვა (All words)**
- **ზუსტი ფრაზა (Exact Phrase)**
- **ნებისმიერი სიტყვა (Any words)**




**სტანდარტული ძებნა**
სტანდარტული ძებნის ფორმა იძლევა ბულის ოპერატორების გამოყენების საშუალებას, ამასთანავე დაშვებულია ველის კოდების, ბრჭყალებში ჩასმული ფრაზის, შემოკლებების (*) და ჩანაცვლების ნიშნების (?) ხმარება. შედეგები წარმოდგენილია შებრუნებული ქრონოლოგიური წყობით, დაწყებული უახლესიდან. ბულის ოპერატორების ტექნიკა განმარტებულია შემდეგ განყოფილებაში.

**ყველა სიტყვა**
ამ ფორმით ძიებისას სიტყვებს შორის ავტომატურად ჩაისმება ბულის ოპერატორი "და" (გადაკვეთა). შედეგები წარმოდგენილია შებრუნებული ქრონოლოგიური წყობით, დაწყებული უახლესიდან.

**ზუსტი ფრაზა**
ეს ფორმა ძიებას ატარებს მხოლოდ ზუსტად მოცემული სიტყვების და მათი წყობის მიხედვით, მაგრამ ყველა "გამორიცხვის ტერმინი" (stopword) იგნორირებული იქნება. შედეგები წარმოდგენილია შებრუნებული ქრონოლოგიური წყობით, დაწყებული უახლესიდან.

**ნებისმიერი სიტყვა**
ამ ფორმით ძიებისას შეიძლება შეიყვანოთ ნებისმიერი სიტვა, ფრაზა ან წინადადება, რომელიც აღწერს იმას, რასაც ეძებთ. ბულის ოპერატორები აქ არ გამოიყენება. **შენიშვნა**: ძებნა მოხდება სრულ ტექსტშიც, როდესაც ის არსებობს. გამოყენებული იქნება მსგავსი სიტყვებიც, ამიტომ ძიების გაფართოების საშუალება აქ გამორიცხულია. შედეგები წარმოდგენილია რელევანტობის მიხედვით.

**ძიების პარამეტრები**
შეიძლება გამოყენებულ იქნეს ძიების გაფართოების (Expanders) ან პირიქით შევიწროვების (Limiters) საშუალებები.




**Limiters - შეზღუდვები**. მათი ჩამონათვალი განსხვავდება მონაცემთა ბაზების მიხედვით. შეზღუდვებში შედის: სრული ტექსტები (Full Texts), სამეცნიერო (რეფერირებული) ჟურნალები (Scholarly (Peer Reviewed) Journals), გამოცემები (Publication); და გამოცემის თარიღი (Date Published).
როდესაც ირჩევთ ერთ-ერთ ზემოთჩამოთვლილ შეზღუდვას, თქვენი ძიება შესაბამისად ვიწროვდება. მაგ: თუ ეძებთ სტატიას 2000 წ-ის არჩევნებთან დაკავშირებით და იმავდროულად იყენებთ შეძღუდვას **სრული ტექსტი**, მოიძებნება მხოლოდ სრულტექსტიანი სტატიები.
**Expanders-გაფართოება**. მათი გამოყენებაც განსხვავდება მონაცემთა ბაზების მიხედვით გვხვდება შემდეგი სახის გაფართოებები: 1. ეძიეთ აგრეთვე სრულ ტექსტებში (Also search within the full text of the articles). 2. ჩაატარეთ ძიება აგრეთვე მნიშვნელობით ახლოს მდგომ სიტყვებზე (Also search for related words); და ა.შ.
როდესაც ირჩევთ პირველს (ეძიეთ აგრეთვე სრულ ტექსტებში), თქვენი ძიება ჩატარდება არა მხოლოდ აღწერილობაში, არამედ სტატიის სრულ ტექსტშიც. მაგ. ეძებთ სტატიას საგანმანათლებლო რეფორმის შესახებ; თქვენს შედეგებში იქნება ისეთი სრულტექსტიანი სტატიები, რომელთა ტექსტი შეიცავს სიტყვებს "საგანმანათლებლო რეფორმა".
როდესაც ირჩევთ მეორეს (Also search for related words), ძიება ფართოვდება და გამოიყენებს ტერმინებს EBSC*Ohost*-ის რუბრიკატორიდან
მაგ: **Stomach**- ზე ძებნის დროს მოიძებნება ტერმინ **Abdomen** –თან დაკავშირებული სტატიებიც.

შესაძლებელია ძიების მრავალი ტექნიკის გამოყენება, რომლებიც აღწერილია მომდევნო განყოფილებაში.

### მართლწერის კონტროლი

EBSC*Ohost* ავტომატურად ამოწმებს იმ სიტყვებს, რომელთა მართლწერაც ხშირად ერევათ და გთავაზობთ მათი მართლწერის ალტერნატიულ ვარიანტებს.




### ძიების ტექნიკა

**ძიება ბულის ოპერატორების გამოყენებით**
ბულის ლოგიკა განსაზღვრავს ლოგიკურ კავშირებს ძიებაში გამოყენებულ ტერმინების შორის. ბულის ოპერატორებია: **და (AND), ან (OR)** და **არა (NOT)**. მათი გამოყენება საშუალებას იძლევა ვაწარმოოთ გაფართოებული ან შევიწროვებული ძიება.

- **და (AND) - გადაკვეთა** აკავშირებს საძიებელ ტერმინებს ისე, რომ თითოეული შედეგი შეიცავს მოცემულ ტერმინს. მაგ: " **travel and Europe**"-ზე ძიების ჩატარების შედეგად, ყველა მოძებნილ სტატიაში იქნება როგორც სიტყვა **travel** - ასევე სიტყვა **Europe** .
- **ან (OR) - გაერთიანება** აერთიანებს საძიებელ ტერმინებს ისე, რომ მოძებნილ სტატიაში მოცემული იქნება ან ერთი ტერმინი ან მეორე. მაგ: **college or university** ძებნის დროს, მოიძებნება ის სტატიები, რომლებიც შეიცავენ ან სიტყვას **college** ან სიტყვას **university.**
- **არა (not) - გამორიცხვა** ოპერატორი ძებნის დროს გამორიცხავს ყველა იმ ტერმინს, რომელიც მის შემდგომ დგას. მაგ: თუ ვეძებთ ფრაზას **television not cable**, მოიძებნება ის სტატიები, რომლებიც შეიცავენ ტერმინს **television** და არ შეიცავენ ტერმინს **cable**.

**შენიშვნა**: ბულის ტექნიკა არ გამოიყენება **Any Words** და **Exact Phrase** ძიების ფორმების დროს.

### ჩანაცვლების (?) და შემოკლების (*) ნიშნები

ეს სიმბოლოები გამოიყენება მაშინ, როდესაც ძიების დროს გაქვთ უცნობი ასოები, მართლწერის რამოდენიმე ვარიანტი ან სხვადასხვა დაბოლოებანი. **შენიშვნა**: არც ჩანაცვლების(?) და არც შემოკლების (*) ნიშნები არ გამოიყენება საძიებელი ტერმინის პირველ პოზიციაზე.

- **ჩანაცვლება** – წარმოდგენილია კითხვის ნიშნის (?) სახით. მისი გამოყენება ხდება შემდეგნაირად: შეცვალეთ საძიებელი ტერმინის თითოეული უცნობი ასო თითო კითხვის ნიშნით. ძიების შედეგებში ისინი ჩანაცვლებული იქნებიან ასოებით. მაგ: **Ne?t**-ზე ძებნის დროს EBSC*Ohost* იპოვნის არა **net**- ს არამედ ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა **next, nest** და ა.შ.

- **შემოკლება** –წარმოდგენილია ვარსკვლავის ნიშნით (*). მისი გამოყენებისთვის ჩაწერეთ საძიებელი სიტყვის ფუძე, ხოლო დაბოლოება შეცვალეთ ვარსკვლავით. ძიების შედეგად მიიღებთ ისეთ სიტყვას, რომელიც შესაძლოა ნაწარმოები იქნას მოცემული საძიებელი ფუძიდან. მაგ: **comput*-**ზე ძებნის დროს მოიძიება სიტყვები - **computer, computing**.

**შენიშვნა:** ჩანაცვლების (?) და შემოკლების (*) ნიშნებით ძიება არ სრულდება "Any Words" ძიების ფორმის რეჟიმში.

**მახლობელი სიტყვების ძიება (*Proximity Search*)**

ეს არის ისეთი ტექსტების ძებნა, რომლებიც შეიცავენ ორ ან მეტ საძიებელ სიტყვას, ისე, რომ ეს სიტყვები გვხვდებიან ამ ტექსტში ერთმანეთისაგან არაუმეტეს გარკვეული რაოდენობის სიტყვის დაშორებით.

"სიახლოვის ოპერატორი" შედგება ასოსაგან ( **N** ან **W**) და რიცხვისაგან, რომელიც აკონკრეტებს სიტყვების რაოდენობას. ეს ოპერატორი თავსდება მოსაძებნ სიტყვებს შორის შემდეგი ფორმით:

- ოპერატორი **"მახლობლად" (Near Operator) - N5** მოძებნის ტერმინებს იმ შემთხვევაში, თუ ისინი ერთმანეთისაგან არაუმეტეს 5 სიტყვის ფარგლებშია, მიუხედავად მათი წყობისა. მაგ: **tax N5 reform-**ზე ძიების ჩატარების შედეგებში შეგვხვდება როგორც **tax reform,** ასევე **reform of income tax.**.
- ოპერატორი **"ფარგლებში" (Within Operator)** – **W8** მოძებნის სიტყვებს, თუ ისინი არიან მოცემულ 8 სიტყვის ფარგლებში ერთმანეთისაგან ზუსტად იმ მიმდევრობით, როგორითაც შეიყვანეთ. მაგ: **tax W8 reform** მოძებნის მხოლოდ **tax reform** და არა **reform of income tax**.

**შენიშვნა:** მახლობელი სიტყვების ძიება არ სრულდება "Any Words" ძიების ფორმის რეჟიმში.

## შედეგების სიის თავისებურებები

- შედეგების სია (Result List) წარმოაჩენს ყველა საძიებელ ტერმინსა და მონაცემთა ბაზას.
- ნავიგაციის ისრების მეშვეობით შეიძლება გადასვლა სიის მომდევნო ან მის წინა გვერდზე. ციფრების მეშვეობით კი შესაძლებელია გადასვლა რომელიმე კონკრეტულ გვერდზე.
- **PDF Full Text** ღილაკი წარმოაჩენს PDF-ის ფორმატის გრაფიკულ ფაილს. **შენიშვნა**: მომხმარებელს დაინსტალირებული უნდა ჰქონდეს Adobe Acrobat Reader უახლესი ვერსია რათა იხილოს PDF-ის სრული ტექსტი.
- **Full Text** – "სრული ტექსტი" მიუთითებს სრული ტექსტის არსებობას. ამ ღილაკზე დაწკაპუნებით შეგიძლიათ იხილოთ სტატიის სრული ტექსტი.
- **Camera** – "კამერა" მიგითითებთ, რომ სტატიაში მოცემულია გრაფიკული მასალა. ეს მასალა შესაძლოა შეიცავდეს ფერად ან შავთეთრ ფოტოებს, გამოსახულებებს, გრაფიკებს, რუქებს, დიაგრამებს და სხვ.
- **Linked full Text** – "დართული სრული ტექსტი" მიგიყვანთ სრულტექსტიან სტატიამდე, თუ იგი ხელმისაწვდომია სხვა ალტერნატიული წყაროებიდან.
- **Add** - "დამატება" საშუალებას მოგცემთ თქვენს "ფოლდერს" (შერჩეული სტატიების ნუსხას) დაუმატოთ მოძიებული სტატიები.

სტატიების ამოსაბეჭდად, შესანახად ან ელ. ფოსტით გადასაგზავნად ჩართეთ ისინი თქვენს "ფოლდერში".




**სტანდარტული, "ყველა სიტყვით"** ან **"ზუსტი ფრაზით"** ძიების შედეგად ზედა მარცხენა კუთხეში წარმოჩენილი იქნება მოძებნილი სტატიების სრული რიცხვი, მის ქვეშ კი სტატიების ნუსხა.

**"ნებისმიერი სიტყვით"** ძებნის შედეგი მოგცემთ მაქსიმუმ 250 სტატიას, წარმოდგენილს რელევანტურობის მიხედვით.

სტატიების სრული რაოდენობის (*მაგ. 1 to 10 of 21791*), მარცხნივ და მარჯვნივ არსებულ **ისრებზე** დაწკაპუნება გადაგიყვანთ სტატიების ნუსხის წინა ან მომდევნო გვერდებზე.

**ძიების შედეგების ნუსხა წყაროების ტიპების მითითებით**




ზოგიერთი მონაცემთა ბაზისთვის **"ყველა შედეგთან"** ერთად, შედეგები ჩამოთვლილი იქნება ცალ-ცალკე წყაროების მიხედვით (პერიოდიკა, ცნობარები, ბროშურები, …). წყაროების ტიპები მოცემულია **"ყველა შედეგის"** მარჯვნივ.
**შენიშვნა**: წყაროს ზოგიერთი ტიპები (მაგ. "ნახატები" ან "კომპანიები") არ შედის **"ყველა შედეგის"** ჩამონათვალში.

## აღწერილობის დეტალური ფორმატის თვისებები




- **Delivery Options (მიწოდების ფორმები)**- ამ ღილაკის მეშვეობით საშუალება გექნებათ ამობეჭდოთ, შეინახოთ ან ელ. ფოსტით გადააგზავნოთ თქვენს მიერ მოძიებული მასალები.
- **Result list (შედეგების სია)** -ეს ღილაკი დაგაბრუნებთ შედეგების სიაში.
- **Refine Search (დახვეწეთ ძიება)** -შესაძლებლობას მოგცემთ დააზუსტოთ თქვენი ძებნა.
- **ორმაგი ისრების** მეშვეობით შესაძლებელია წინა და მომდევნო შედეგის ნახვა.
- **Formats (ფორმატები)** –საშუალებს მოგცემთ ამავე სტატიასთან დართული სხვა ფორმატის ჩანაწერები ნახოთ, მაგ. **სრული ტექსტი**, ან **PDF სრული ტექსტი**.

სხვადასხვა სტატიასთან შესაძლებელია დართული იყოს სხვადასხვა ფორმით:

- **Title**-გიჩვენებთ სტატიის სათაურს.
- **Subjects (თემატიკა)** -გიჩვენებთ კონგრესის ბიბლიოთეკის ყველა საგნობრივ რუბრიკას, რომელიც უკავშირდება ამ სტატიას. ამ რუბრიკებზე-ლინკებზე დაწკაპუნებით შესაძლებელია ახალი ძებნის დაწყება, რომელიმე სპეციფიკურ საგანზე (თემატიკაზე).
- **Source (წყარო)** -წარმოგიდგენთ იმ ჟურნალის სახელწოდებას, ნომერსა და გამოცემის თარიღს, საიდანაც ამოღებულია მოძებნილი სტატია. ამ ლინკის არჩევით მიიღებთ ამ ჟურნალთან დაკავშირებულ საგამომცემლო ინფორმაციას. ჟურნალის ნომრის მაჩვენებელი ღილაკის არჩევით გამოჩნდება მოცემული ნომერის ყველა სტატია.
- **Author(s)**-გიჩვენებთ სტატიების ავტორებს. ამ ლინკების საშუალებით შესაძლებელია აგრეთვე მონაცემთა ბაზაში არსებული მოცემული ავტორის ყველა სტატიის ხილვა.
- **Abstracts**-წარმოგიდგენთ სტატიის რეფერატს-ანოტაციას.
- **Full Text Word Count** - გიჩვენებთ სიტყვების რაოდენობას სტატიის სრულ ტექსტში.
- **An - Accession Number**- მონაცემთა ბაზის შიდა კატალოგის ნომერი სტატიის იდენტიფიკაციისთვის.
- **Database (მონაცემთა ბაზა)** – მიუთითებს თუ რომელი მონაცემთა ბაზიდანაა ამოღებული სტატია.

## HTML სრული ტექსტის თვისებები


Choose Language Translate

**Title:** *BIGGER, BETTER, MORE BEAUTIFUL*, By: Gelernter, David, National Review, 00280038, 6/3/2002, Vol. 54, Issue 10
**Database:** *Academic Search Premier*

Section: COVER STORY

**BIGGER, BETTER, MORE BEAUTIFUL**

**Contents**

AN UNDISCOVERED COUNTRY

SHAPING UP

THE POWER OF MIND

**The next *World Trade Center***

We need to replace the ***World Trade Center*** towers with something bigger, better, and more beautiful. Some people are nervous (some people are always nervous) -- in the age of terrorism, they say, a Manhattan skyscraper is a mere gross provocation, and dangerous. It is a raised fist or middle finger directed at the sulking sultans and all their violent, misfit friends, the creatures who danced in the streets when the towers fell. A new WTC skyscraper is bound to be attacked again, they figure, and will again prove hard to evacuate. So we should lower our sights.

These same people would probably have argued in December 1941 that it would be foolish for the U.S. to risk replacing her Pacific fleet, because navies are a provocation and are always getting into wars. But no American in December '41 was willing for Japanese warlords to shape the U.S. military. Few Americans today are willing for al-Qaeda warlords to shape the Manhattan skyline. Not to replace the WTC with a bigger and better WTC would be dishonorable and, ultimately, cowardly.

- **Contents (სარჩევი)** -ზოგიერთ სტატიას გააჩნია სარჩევი, რომელშიც ჩამოთვლილია სტატიაში არსებული პარაგრაფების სათაურები. თითოეული ლინკის მეშვეობით ავტომატურად გადადიხართ სტატიის ამა თუ იმ ნაწილზე.
- **Delivery Options (მიწოდების ფორმები)** – გაძლევთ საშუალებას ამობეჭდოთ, შეინახოთ ან გადააგზავნოთ ელ. ფოსტით შედეგები.
- **Result List (შედეგების სია)** – დაგაბრუნებთ შედეგების სიაზე.
- **Refine Search (დახვეწეთ ძიება)** – შესაძლებლობას მოგცემთ დააზუსტოთ თქვენი ძებნა.
- **ორმაგი ისრების** მეშვეობით შესაძლებელია წინა და მომდევნო შედეგის ნახვა.
- **Formats (ფორმატები)** –საშუალებს მოგცემთ ამავე სტატიასთან დართული სხვა ფორმატის ჩანაწერები ნახოთ, მაგ. **სრული ტექსტი**, ან **PDF სრული ტექსტი**. სხვადასხვა სტატიასთან სხვადასხვა ფორმატებია დართული.
- **Language Translation (თარგმანი)** - ამ ლინკის მეშვეობით შესაძლებელია სტატიების თარგმნა ესპანურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

## "ფოლდერის" გამოყენება

EBSC*Ohost* საშუალებას აძლევს მომხმარებელს სხვადასხვა ძებნის შედეგად მოპოვებული მასალები შეაგროვოს ფოლდერში და სურვილის შესაბამისად შეინახოს, ამობეჭდოს ან ელ-ფოსტით გადააგზავნოს. სტატიის ფოლდერში შესანახად დააჭირეთ ფოლდერის ხატ-ნიშანს რომელიც მოთავსებულია არჩეული სტატიის მარჯვნივ.
ღილაკზე **View Folder** ან **Folder has X items** (ფოლდერში … ერთეულია) დაჭერით შეგიძლიათ იხილოთ მიმდინარე სეანსის განმავლობაში ფოლდერში შენახული მასალები.




### მიწოდების ფორმები

EBSC*Ohost*-ის მომხმარებელს შეუძლია მოძებნოს მისთვის სასურველი ინფორმაცია და შემდეგ ამობეჭდოს, შეინახოს ან ელ-ფოსტით გადააგზავნოს.
მას შემდეგ, რაც მომხმარებელმა აირჩია ერთ-ერთი ამ ფუნქციათაგანი, გამოჩნდება შემდეგი დამატებითი პარამეტრები:
**Empty folder after printing, e-mailing or saving** - ფოლდერის გაწმენდა ამობეჭდვის, გადაგზავნის ან შენახვის შემდგომ. ეს პარამეტრი შეგიძლიათ იხილოთ "სტატიების ზოლში". თუ ეს პარამეტრი არ მონიშნეთ, ძებნის პერიოდში შერჩეული მასალა რჩება ფოლდერში; ხოლო თუ იგი მონიშნეთ, ამობეჭდვის, შენახვისა და ელ- ფოსტით გადაგზავნის შემდეგ ფოლდერი თავისუფლდება.

### ბეჭდვის პარამეტრები

მომხმარებელს შეუძლია "სტატიების ზოლში" აირჩიოს **Additional citation details and abstract** (სტატიის აღწერილობის დამატებითი დეტალები და რეფერატი). ამ შემთხვევაში შესაძლებელია სტატიის აღწერილობის დამატებითი დეტალებისა და რეფერატის ამობეჭდვა. თუ ეს პარამეტრი არ იქნება არჩეული, შესაძლებელია მხოლოდ სტატიის მოკლე ციტირების ამობეჭდვა. მოკლე ციტირება შეიცავს: სტატიის სათაურს, პუბლიკაციის სახელწოდებას და ტომის-ნომრის დეტალებს. მომხმარებლებს შეუძლიათ ამობეჭდონ სტატიის სრული ტექსტიც, თუ ის ხელმისაწვდომია; ამისათვის დააჭირეთ ღილაკს **Full Text (when available)**.

### ელექტრონული ფოსტით გადაგზავნის პარამეტრები

მომხმარებელს შეუძლია სტატიების ღილაკიდან აირჩიოს სტატიის აღწერილობის დამატებითი დეტალები და რეზიუმე **(Additional citation details and Abstracts)**. ამ შემთხვევაში შესაძლებელია აღწერილობის დამატებითი დეტალების და რეზიუმეს გადაგზავნა. თუ ეს პარამეტრი არ იქნება არჩეული, შესაძლებელია მხოლოდ სტატიის მოკლე ციტირების გაგზავნა. მოკლე ციტირება შეიცავს: სტატიის სათაურს, პუბლიკაციის სახელწოდებას და ტომის –ნომრის

დეტალებს. ამობეჭდვის დროს, მომხმარებელს შეუძლია ამოიღოს სტატიის სრული ტექსტიც, თუ იგი ხელმისაწვდომია; ამისათვის დააჭირეთ ღილაკს **Full Text**.

### სტატიის შენახვის პარამეტრები

მომხმარებელს შეუძლია სტატიების ღილაკიდან აირჩიოს სტატიის აღწერილობის დამატებითი დეტალები და რეზიუმე **(Additional citation details and Abstracts).** ამ შემთხვევაში შესაძლებელია აღწერილობის დამატებითი დეტალების და რეზიუმეს შენახვა. თუ ეს განყოფილება არ იქნება არჩეული, შესაძლებელია მხოლოდ სტატიის მოკლე ციტირების შენახვა. მოკლე ციტირება შეიცავს: სტატიის სათაურს, პუბლიკაციის სახელწოდებას და ტომის –ნომრის დეტალებს. შენახვის დროს, მომხმარებლებს შეუძლიათ ამოიღონ სტატიის სრული ტექსტიც, თუ ის ხელმისაწვდომია; ამისათვის დააჭირეთ ღილაკს **Full Text**.

## რთული (დახვეწილი) ძიების ეკრანის გამოყენება

არსებობს სამი სახის დამატებითი საძიებელი ეკრანი: რთული ძიება ერთი საძიებელი ველით (Advanced with a single find field); რთული ძიება ერთი საძიებელი ველით და ველების დამატების საშუალებით (advanced with a single find field and search Builder); რთული ძიება მრავალ ველში დამხმარე გრაფებით (Advanced with a guided style find field).
თითოეულ მათგანს აქვს შემდეგი პარამეტრები:
**შეზღუდვები-Limiters**. მათი ჩამონათვალი განსხვავდება მონაცემთა ბაზების მიხედვით. შეზღუდვებში შედის: სრული ტექსტები (Full Texts), სამეცნიერო (რეფერირებული) ჟურნალები (Scholarly (Peer Reviewed) Journals), გამოცემები (Publication); და გამოცემის თარიღი (Date Published).
**გაფართოებები-Expanders**. მათი გამოყენებაც განსხვავდება მონაცემთა ბაზების მიხედვით გვხვდება შემდეგი სახის გაფართოებები: 1. ეძიეთ აგრეთვე სრულ ტექსტებში (Also search within the full text of the articles). 2. ჩაატარეთ ძიება აგრეთვე მნიშვნელობით ახლოს მდგომ სიტყვებზე (Also search for related words); და ა.შ.
**სპეციალური შეზღუდვები - Special Limiters**, რომლებიც სპეციფიკურია სხვადასხვა მონაცემთა ბაზებისთვის.

### რთული ძიების ჩასატარებლად ერთი საძიებელი ველით:




1. საძიებელი ეკრანიდან დააჭირეთ ღილაკს **Advanced Search**
2. ძებნის (**"Find**") ველში შეიყვანეთ საკვანძო სიტყვები.
3. ღილაკის **Search Options** მეშვეობით გამოიყენეთ შეზღუდვები და გაფართოებები.
4. დააჭირეთ ძებნის (**Search**) ღილაკს.

რთული ძიების ეკრანზე შესაძლებელია აგრეთვე ბულის ოპერატორების გამოყენებაც და მათი საშუალებით სხვადასხვა ტერმინების დაკავშირება. მაგ: **Natural Selection AND Darwin**.

**რთული ძიება ერთი საძიებელი ველით და ძიების კონსტრუქტორით**




ასეთი ძიება მოგცემთ საკვანძო სიტყვების, საძიებელი სფეროებისა და ბულის ოპერატორების კომბინირების საშუალებას, ველში **Find field** ჩასმული ნებისმიერი ტექსტით.

**რთული ძიების ჩასატარებლად ერთი საძიებელი ველით და ძიების კონსტრუქტორით:**

1. **Find** გრაფაში ჩაწერეთ **natural selection OR evolution**
2. ჩაწერეთ ტერმინი **Darwin** გრაფაში **Term(s)**.
3. ბულის ოპერატორებიდან აირჩიეთ **AND**
4. ძებნის ჩატარებისთვის დააჭირეთ ღილაკს **Add**

ამ ოპერაციების შედეგად შესრულდება ძიება შემდეგი ფორმულით: **(natural selection OR evolution) and (Darwin**).

**რთული ძიების ჩატარება მრავალ ველში დამხმარე გრაფების გამოყენებით**




რთული ძიების ეს ფორმა იძლევა ველებში საძიებელი ტერმინების ჩაბეჭდვის საშუალებას, იმისათვის რომ შესრულდეს დახვეწილი ან სპეციფიკური ძიებები.

რთული ძიების ჩასატარებლად მრავალ ველში დამხმარე გრაფების გამოყენებით **(Guided Style Find Field search):**

1. პირველ **Find** გრაფაში შეიყვანეთ საკვანძო სიტყვა.
2. აირჩიეთ თქვენთვის სასურველი ბულის ოპერატორი და დააჭირეთ ღილაკს.
3. შეიყვანეთ შემდეგი საკვანძო სიტყვა ტექსტის გრაფაში.
4. მენიუდან აირჩიეთ საძიებელი ველი.
5. დააჭირეთ ძებნის (**Search**) ღილაკს.

რთული ძიება მრავალ ველში დამხმარე გრაფებით რამოდენიმე ტერმინის ერთ სტრიქონში კომბინირების საშუალებს იძლევა. მაგალითად, ჩაწერეთ პირველ გრაფაში
**car or automobile** და მიიღებთ შედეგებს, რომლებიც შეიცავენ სიტყვას **car** ან სიტყვას **automobile**.

**ძიების ისტორია**

რთული ძიების ეკრანიდან შეგიძლიათ შეინახოთ, დააბრუნოთ ან ხელახლა გამოიყენოთ თქვენს მიერ ჩატარებული ძიებები. ამ ძიებების გადათვალიერება, შესაძლებელია **ძიების ისტორიის (Search History)** პანელიდან. ახალი ძიებები შეიძლება შესრულდეს კომბინირებული ან მოდიფიცირებული სახით.

Search Options | Search History | Results

| Search History | | | Print History | Retrieve History | Save History | Clear History |
|---|---|---|---|---|---|---|
| Add to Search | Search ID # | Search Terms | Limiters | Results | Revise Search | Delete |
| ☐ | S4 | ((library) and (resources)) | Full Text | 3127 | Revise | Delete |
| ☐ | S3 | (library) and (resources) | | 4728 | Revise | Delete |
| ☐ | S2 | resources | | 76336 | Revise | Delete |
| ☐ | S1 | library | | 62255 | Revise | Delete |

ძიების ისტორიის პანელზე მოთავსებულია შემდეგი სვეტები:
ჩართეთ ძიებაში (**Add to search**)-მონიშნეთ გრაფა ნებისმიერი ძებნის მწკრივის თავში, თუ გსურთ ჩართოთ იგი ახალი ძიების პროცესში.
ძიების ნომერი (**Search ID #**) - ეს სვეტი გიჩვენებთ ადრე ჩატარებული ძიების ნომერს. ყოველ ძიებას მიენიჭება თავისი ნომერი. ამ პანელიდან შესაძლებელია ძიების ამორჩევა თუ შეიყვანთ ასო **S**-ს და შესაბამის ნომერს (მაგ. **S1** ან **S3**).
**საძიებელი ტერმინები (Search Terms)** -ამ სვეტში მოცემულია ის საძიებელი ფორმულა, რომელიც თქვენ ძებნის დროს გამოიყენეთ, მათ შორის გამოყენებული სფეროს კოდები და ბულის ოპერატორებიც, როგორც ძიების შემადგენელი ნაწილი.
**შეზღუდვები (Limiters)** - ამ სვეტში ჩამოთვლილია ძებნის დროს გამოყენებული ყველა შეზღუდვა.
**შედეგები (Results)** - ამ სვეტში მოცემულია ძიებების შედეგების რაოდენობა. რიცხვზე დაწკაპუნებით მიიღებთ შედეგების სიას. უშედეგო ძიებები მოცემულია ძებნის ისტორიაში და მათ ამ სვეტში აქვთ ნოლი. როდესაც ცვლით ან ამატებთ მონაცემთა ბაზებს, წინა ჩატარებულ ძიებებს ამ სვეტში დაესმებათ კითხვის ნიშნები.
**ძიების შესწორება (Revise search)** - ეს სვეტი გიჩვენებთ თუ არის შესაძლებელი ძებნის კორექტირება. როდესაც დააჭერთ ამ ღილაკს, **Find Field**-ში გამოჩნდება საძიებელი ტერმინები. შეასწორეთ ტერმინები, შეიყვანეთ სფეროს კოდები ან დაუმატეთ შეზღუდვები.
**წაშლა (Delete)** - ამ ღილაკის მეშვეობით შეგიძლიათ წაშალოთ შესაბამისი სტრიქონი.

ძიების ისტორია შეიცავს მხოლოდ მიმდინარე სეანსის დროს რთული ძიების (**Advanced Search**) ეკრანის გამოყენებით ჩატარებულ ძიებებს. როდესაც თქვენ ამთავრებთ ძიების სეანსს, ძიების ისტორია ცარიელდება- იწმინდება. ძიების ისტორია ავტომატურად გიჩვენებთ თქვენს მიერ ჩატარებულ ბოლო ექვს ძიებას, თუ თქვენს მიერ ჩატარებული ძებნა ექვსს აღემატება, შეგიძლიათ აირჩიოთ **Show More Search History**, რომ იხილოთ თქვენს მიერ ჩატარებული ყველა ძიება. იმ შემთხვევაში, თუ გსურთ გამოაჩინოთ მხოლოდ ბოლო ექვსი ძიება, დააჭირეთ ღილაკს **Show Less Search History.**

თუ შეცვლით მონაცემთა ბაზას, თქვენი ძიების ისტორია შეინახება, მაგრამ თუ გახსნით ებსკოს სხვა მომსახურებას, მაგ. **Searchasaurus** ან **TopicSearch**, მაშინ ძებნის ისტორია არ შეინახება.

თქვენს ძიებებზე მოქმედებს აგრეთვე მონაცემთა ბაზის შეცვლაც. ძიებები ჩატარებულ უნდა იქნეს იმ შეზღუდვებით, რომლებიც მოცემულია რომელიმე კონკრეტულ მონაცემთა ბაზაში. როდესაც ახალ მონაცემთა ბაზაში იხსნება Advanced Search ეკრანი, ძიებებს შედეგების სვეტში კითხვის ნიშნები აქვთ დასმული. როდესაც ათვალიერებთ შედეგებს Results ღილაკზე დაჭერით, სრულდება ახალი ძიება და მისი შედეგები ემატება ძიების ისტორიას.

**შენიშვნა:** ძიებები, ჩატარებული საკვანძო სიტყვით (Keyword), ბუნებრივ ენაზე (Natural Language) ან რთული ძიების (Advanced Search) ეკრანზე, არ ინახება რთული ძიების ეკრანის ისტორიის ფაილში.

### ძიებების შენახვა და ამოღება

შესაძლებელია რთული ძიებების შენახვა და შემდეგ მათი ამოღება ხელახალი გამოყენებისთვის, თუკი ეს EBSCOhost-ის ადმინისტრატორის მიერ ნებადართულია. ასევე შესაძლებელია ძიების ისტორიის ამობეჭდვა.
ძებნების შესანახად აუცილებელია EBSCOhost-ის "პირადი ანგარიშის" გახსნა.

### პირადი ანგარიშის გახსნა

EBSCOhost-ის ადმინისტრატორის ნებართვით შეგიძლიათ გახსნათ თქვენი პირადი ანგარიში. პირადი ანგარიშის მეშვეობით შეგიძლიათ შეინახოთ და განაახლოთ ძებნის ისტორია "რთული ძიების ეკრანიდან".

### პირადი ანგარიშის გასახსნელად

1. რთული ძიების ეკრანზე დააწკაპუნეთ **Save search history**-ზე



2. ახალი ანგარიშის გასახსნელად დააჭირეთ **I'ma new user** გამოჩნდება ახალი ანგარიშის მონაცემების შესავსები გრაფა (New Account Setup).




3. შეავსეთ გრაფები. ვარსკვლავებიანი (*) გრაფები სავალდებულოა. დააჭირეთ **Continue** .
4. თუ თქვენი მონაცემები მიღებულია, გამოჩნდება შესაბამისი შეტყობინება მომხმარებლის სახელითა და პაროლით. დააჭირეთ ღილაკს **OK.**

თუ პაროლი დაგავიწყდათ, შეგიძლიათ შეიყვანოთ მომხმარებლის სახელი და განაახლოთ პაროლი.

**თქვენი პაროლის განახლებისათვის:**

1. საწყის ეკრანზე **(Login screen)** დააჭირეთ **I forgot my password.**



2. შეიყვანეთ მომხმარებლის სახელი და დააჭირეთ **Continue**. გამოჩნდება თქვენს მიერ რეგისტრაციისას შეყვანილი დამხმარე შეკითხვა და მას გასცემთ ასევე თქვენს მიერ შეყვანილ პასუხს.
3. დააჭირეთ **Continue**, გამოჩნდება თქვენი პაროლი. დააჭირეთ **OK**-ს.

თუ პაროლთან ერთად მომხმარებლის სახელიც დაგავიწყდათ, შეგიძლიათ მათ აღდგენაც.

**მომხმარებლის სახელისა და პაროლის აღდგენა**

1. საწყის ეკრანზე დააჭირეთ ღილაკს **I forgot my user name and password**. გამოჩნდება შემდეგი ეკრანი:




2. თქვენ უნდა შეიყვანოთ თქვენი სახელი, გვარი, საფოსტო კოდი და დააჭიროთ **Continue**. გამოჩნდება ის შეკითხვა, რომელიც თქვენს მიერ იქნა შეყვანილი რეგისტრაციისას და მას გასცემთ ასევე თქვენს მიერ შეყვანილ პასუხს.
3. ამის შემდეგ დააჭირეთ **Continue**, გამოჩნდება თქვენი პაროლი და მმხმარებლის სახელი. დააჭირეთ ღილაკს **OK**.

**ძიებების შენახვა**

მას შემდეგ, რაც გაქვთ პირადი ანგარიში, თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერ დროს შეინახოთ და ამოიღოთ ძიებები.

**ძიებების შესანახად:**

1. რთული ძიების ეკრანზე, სადაც მოცემულია ძებნის ისტორია, დააჭირეთ ღილაკს **Save**. გამოჩნდება ძიების შენახვის (**Save Search**) ეკრანი.




2. თუ თქვენ ჯერ არა ხართ "შესული" პირად ანგარიშში, მიიღებთ "შესვლის მოწვევას". შეიყვანეთ თქვენი "მომხმარებლის სახელი" და პაროლი ან დააჭირეთ **Cancel**-ს, რომ დაბრუნდეთ რთული ძიების ეკრანზე.
3. ძიების შესანახად შეიყვანეთ ძიების სახელწოდება და აღწერილობა. მაგ. **my search1**.შემდეგ დააჭირეთ ღილაკებს **Save** და **OK**, თუ ეს არ გნებავთ დააჭირეთ **Cancel**-ს.
4. ამის შემდეგ თქვენ დაუბრუნდებით რთული ძიების ეკრანს.

**ძიებების ამოღება**
თქვენ შეგიძლიათ  განაახლოთ "ძიების ისტორიაში" შენახული ძიებები და ხელახლა გამოიყენოთ ისინი.

**ძიების ისტორიის ამოსაღებად:**

1. რთული ძიების ეკრანზე დააჭირეთ ღილაკს  "ძიების ისტორიის ამოღება" **(Retrieve Search History)**.




2. თუ თქვენ ჯერ არა ხართ "შესული" პირად ანგარიშში, მიიღებთ "შესვლის მოწვევას". შეიყვანეთ თქვენი "მომხმარებლის სახელი" და პაროლი ან დააჭირეთ **Cancel**-ს, რომ დაბრუნეთ რთული ძიების ეკრანზე.
3. იმისათვის, რომ ამოიღოთ ძიება მოცემული სიიდან, დააჭირეთ ღილაკს "ძიების სახელწოდება" (**Search Name**). თუ ამ დროს გახსნილი გაქვთ ძებნის ისტორია, გამოჩნდება შეტყობინება, რომ შეინახოთ მიმდინარე ძიება. თუ შენახვის გარეშე განაგრძობთ, მიმდინარე ძიება წაიშლება და ეკრანზე გამოჩნდება თქვენს მიერ მოთხოვნილი ძებნა.
4. თქვენ ისევ რთული ძიების ეკრანზე ხართ. ძიების ისტორიაში მოცემულია ცნობები თქვენს მიერ ამოღებულ ძიებაზე. ძიებების ყველა რაოდენობრივი მაჩვენებელი შეიცვალა კითხვის ნიშნებით. თუ თქვენ დააჭერთ ფრაზას შედეგების (**Results**) სვეტში, შესრულდება ახალი ძიება და მისი შედეგები დაემატება ძიების ისტორიას.

**ძიების ისტორიის ამობეჭდვა**

1. რთული ძიების ეკრანზე  დააჭირეთ ღილაკს "ძიების ისტორიის ამობეჭდვა" (**Print Search History). **გამოჩნდება ეკრანი ამოსაბეჭდად დაწყობილი ძიების ისტორიით.
2. მის ამოსაბეჭდად დააჭირეთ ღილაკს "ბეჭდვა" (**Print)** ხელსაწყოების პანელზე. ეკრანის დასახურად დააჭირეთ ღილაკს **Close Screen**  და დაბრუნდებით რთული ძიების ეკრანზე.

## ინსტრუმენტთა ქვედა ზოლი

საკვანძო სიტყვის ძიების გარდა, **EBSCOHost** გთავაზობთ მონაცემთა ბაზებში ძიების სხვა ფორმასაც – საგნობრივი რუბრიკების, პუბლიკაციების და სხვა ინდექსების გადათვალიერებას, რომლებიც დამოკიდებულია კონკრეტულ მონაცემთა ბაზაზე.




### საგნობრივი ძიება

მომხმარებელს შეუძლია საგნების ნუსხის გადათვალიერება.

**საგნობრივი რუბრიკატორის გადასათვალიერებლად:**

1. ინსტრუმენტთა ქვედა ზოლში დააჭირეთ ღილაკს "თემა" (**Subject**). გამოჩნდება **საგნობრივი რუბრიკატორის** საწყისი რუბრიკები.
2. შეიყვანეთ თქვენი საძიებელი ტერმინები გრაფაში "**Browse For",** მაგ. **Archeology.** პიროვნების მოსაძებნად გამოიყენეთ შემდეგი ფორმატი: გვარი, სახელი.
3. დააჭირეთ ღილაკს "ანბანური წყობა" (**Alphabetical),** რათა თქვენს მიერ მოძიებული შედეგები ანბანის მიხედვით დაეწყოს, ან დააჭირეთ ღილაკს **Relevancy Ranked,** რათა თქვენს მიერ მოძიებული შედეგები რელევანტობის მიხედვით დაეწყოს.
4. დააჭირეთ ღილაკს **Browse,** რათა იხილოთ თქვენი ტერმინები ისეთი სახით, როგორც ისინი გვხვდებიან **საგნობრივ რუბრიკატორში.** მოძიებული ბიბლიოგრაფიული ცნობები (**References**) შეიძლება დალაგდეს ტიპის მიხედვით. ( მაგ. ცნობები გაზეთებიდან, ცნობები პერიოდიკიდან ან ცნობები მიმოხილვებიდან).

გამოჩნდება შედეგების ნუსხა, რომელსაც შეგიძლიათ გადახედოთ. შესაძლებელია მოცემული იყოს თქვენი ძიების შესაბამისი საგნობრივი განყოფილებების იერარქიული წყობა.

5. ამ ნუსხაში დააჭირეთ ნებისმიერ ხელმისაწვდომ რუბრიკას, რათა გახსნათ მოძებნილი შედეგების სია; ან დააჭირეთ "იხ. აგრეთვე" კავშირს (**See also**), რათა შეავიწროვოთ ძიების სფერო.
6. იმისათვის რომ შეცვალოთ ძიება ან წამოიწყოთ ახალი, შეიყვანეთ ახალი ტერმინები გრაფაში **Browse For**.

### პუბლიკაციების ნუსხის გადათვალიერება

პუბლიკაციების ნუსხაში შედის ჟურნალების დასახელებები.
მომხმარებელს შეუძლია მოძებნოს პუბლიკაციები რომელიმე კონკრეტულ მონაცემთა ბაზაში ან ჩაატაროს ძებნა რამდენიმე პუბლიკაციისა ერთად.

**პუბლიკაციების ნუსხის დასათვალიერებლად:**

1. ინსტრუმენტთა ქვედა ზოლზე დააჭირეთ ღილაკს **Publication.** გამოჩნდება პუბლიკაციების ნუსხის დასაწყისი.
2. პუბლიკაციების ეკრანზე შეიყვანეთ საძიებელი ტერმინები გრაფაში **Browse For**. შეგიძლიათ შეიყვანოთ პუბლიკაციის დასახელება ნაწილობრივ ან მთლიანად.
3. აირჩიეთ ძიების ერთ-ერთი ტიპი. ამისათვის დააჭირეთ ღილაკებს:
   - **სახელწოდება იწყება** (Publications beginning with**)** – მოიძებნება ჟურნალები, რომლებიც იწყება თქვენს მიერ შეყვანილი ასოებით. შედეგები მოცემული იქნება ანბანური წყობით.
   - **ემთხვევა ნებისმიერი სიტყვა (Match any words)** – მოიძებნება ჟურნალები, რომლებიც თქვენს მიერ შეყვანილი სიტყვებიდან ერთს ან რამდენიმეს შეიცავენ.

შედეგები წარმოდგენილი იქნება თქვენი საძიებელი სიტყვების რელევანტურობის მიხედვით.

- **ზუსტად ემთხვევა ფრაზა (Match exact phrase)** – მოიძებნება პუბლიკაციები, რომლებშიც ზუსტად შეგვხვდება საძიებელ სიტყების წყობა. შედეგები წარმოდგენილი იქნება ანბანური წყობით.

**4.** დააჭირე ღილაკს **Browse** რათა იხილოთ ტერმინები ისეთი სახით, როგორც ისინი წარმოდგენილია პუბლიკაციების ნუსხაში. გამოჩნდება შედეგების სია.

**5.** გადაფურცვლის ზოლის გამოყენებით გადაათვალიერეთ სია ან კლავიატურის ისრების საშუალებით ამოძრავეთ მიმდინარე გვერდი ზემოთ ან ქვემოთ; იგივე შეგიძლიათ გააკეთოთ გვერდის თავსა და ბოლოში გამოსახული ისრების მეშვეობით.

ჟურნალის შესახებ ცნობის მისაღებად დააჭირეთ **Publication Details**. აქ მოცემული ინფორმაცია შეიძლება შეიცავდეს: ჟურნალის სრულ სახელწოდებას, ISSN-ს, წლიური ხელმოწერისათვის საჭირო თანხას, გამომცემლის მისამართს, გამომცემლის ინტერნეტ-მისამართს, ჟურნალის თემატიკას ან/და დახასიათებას და ცნობას იმის შესახებ არის თუ არა ჟურნალი რეფერირებადი.

თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ გრაფა **Mark Items**, რათა ჩაატაროთ ძიება რამოდენიმე პუბლიკაციაზე ერთდროულად ან დააკავშიროთ პუბლიკაციების დასახელებები სხვა საძიებელ ტერმინებთან.

**ძიება რამდენიმე ჟურნალზე ერთდროულად:**

1. მას შემდეგ რაც ეკრანზე გამოსულია პუბლიკაციების სია (**Publication Result List**), დააჭირეთ **Mark Items** ძიების ეკრანზე.
2. მონიშნეთ ის პუბლიკაციები (დასახელებების მარცხნივ), რომელთა მოძებნაც გსურთ. დააჭირეთ ღილაკს **Add**. თქვენს მიერ არჩეული პუბლიკაციების დასახელებები მოთავსდება საძიებელ ეკრანზე გრაფაში **Find** (ისინი შეერთებულია ოპერატორით "**or**").
   - ამ პუბლიკაციებში ძებნის ჩასატარებლად დააჭირეთ ღილაკს **Search**.
   - ძიების კორექციისათვის, გრაფაში **Find** შეგიძლიათ ჩაამატოთ მეტი ტერმინები და შემდეგ დააჭიროთ ღილაკს **Search**.

მაგ. შეიყვანეთ გრაფაში **Browse For** ტერმინი **science** და დააჭირეთ ღილაკს **Browse**. ამის შემდეგ შეგიძლიათ მონიშნოთ პუბლიკაციები **Science & Society** და **Science as Culture.** დააჭირეთ ღილაკს **Add**. თქვენი არჩევანი გადავა გრაფაში **Find** შემდეგი სახით: **JN "Science & Society" OR JN "Science as Culture".**

შეგიძლიათ დააჭიროთ ღილაკს **Search** და მოიპოვოთ შედეგები ორივე პუბლიკაციიდან. ასევე შეგიძლიათ შეასწოროთ საძიებელი ფორმულა გრაფაში **Find**. მაგ. დაამატოთ ტერმინი **"and humanity".** მიიღებთ ძიების განსხვავებულ შედეგებს.

**სურათების ძიება**

თუ თქვენს ბიბლიოთეკას გააჩნია გრაფიკულ გამოსახულებათა მონაცემთა ბაზა, სურათების მოძებნა შესაძლებელია შემდეგი გზებით:

- საძიებელი ეკრანიდან ან საცნობარო ინსტრუმენტების ეკრანიდან (**Reference Tools**), დააჭირეთ ღილაკს **Image Collection**.
- თუ მონაცემთა ბაზაში შესაძლებელია ძიება წყაროს ტიპის მიხედვით, მაშინ მოძიებული შედეგებიც წარმოდგენილია წყაროების მიხედვით (გაზეთები, ჟურნალები, გრაფიკული გამოსახულებები ). დააჭირეთ ღილაკს **Image** რათა იხილოთ მოძიებული სურათები.

შესაძლებელია აგრეთვე სურათების ძიების დაზუსტება საძიებელ ეკრანზე მოცემული კატეგორიების მიხედვით: ადამიანების ფოტოსურათები (**Photos of People**), საბუნებისმეტყველო ფოტოები (**Natural Science Photos**), ისტორიული ფოტოები (**Historical Photos**), რუქები (**Maps**) და დროშები (**Flags**).

შეგიძლიათ აირჩიოთ ერთზე მეტი კატეგორია (მაგ. რუქები და დროშები). როცა არც ერთი კატეგორია არაა არჩეული, ძიება მოხდება ყოველ მათგანში.

**სურათების საძიებლად:**

1. დააჭირეთ ღილაკს **Image Collection**. გამოჩნდება გრაფიკული გამოსახულებების საძიებელი ეკრანი.
2. შეიყვანეთ საძიებელი ტერმინები. ( მაგ. **Eleanor Roosevelt**).

ტერმინი ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს სურათის დასახელებას ან წარწერას. ტერმინი **Roosevelt** არ მოგცემთ იმავე შედეგებს, რასაც ტერმინი **Roosevelts**. მეტი სიზუსტისათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ბულის ოპერატორები. (მაგ. **Delano and Roosevelt**.)

3. ძებნის დასაზუსტებლად აირჩიეთ ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიებიდან ერთ-ერთი. როცა არც ერთი კატეგორია არაა არჩეული, ძიება მოხდება ყოველ მათგანში.
4. დააჭირეთ ღილაკს **Search.** ეკრანზე გამოვა შედეგების სია შემცირებული გამოსახულებებით და მოკლე აღწერილობებით.
   - გამოსახულების ამოსაბეჭდად დააჭირეთ ჯერ თვითონ გამოსახულებას და შემდეგ ღილაკს **Print**. გამოჩნდება ბეჭდვის ადმინისტრატორის ფანჯარა. დააჭირეთ **Print**.
   - სურათის შესანახად ჯერ გაადიდეთ იგი შემცირებულ გამოსახულებაზე დატკაცუნებით და შემდეგ დააჭირეთ ღილაკს **Save to Disk.** გამოჩნდება შენახვის ფანჯარა. დააჭირეთ ღილაკს **Save.**